



რეჟიმის  
პოლიტიკური  
პატიმრები  
საქართველოში

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა 

რეჟიმის  
პოლიტიკური პატიმრები  
საქართველოში

2025

ავტორები:

ელეარდ მარიაკაშვილი  
გიორგი ტაბატაძე  
ვასილ ჟიჟიაშვილი  
ეკატერინე სუბელიანი

## მართლმსაჯულების პოლიტიკური მოტივი

2024 წლის 28 ნოემბერს ირაკლი კობახიძემ გააკეთა განცხადება და 2028 წლის ბოლომდე ევროკავშირთან მოლაპარაკების გახსნის საკითხის დღის წესრიგში არ დაყენების შესახებ ქართული ოცნების გადაწყვეტილება გამოაცხადა<sup>1</sup>. ირაკლი კობახიძის განცხადებამ საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია, რასაც მოჰყვა ეროვნული, მშვიდობიანი პროტესტი მთელი ქვეყნის მასშტაბით. ასიათასობით ადამიანის მთავარ მოთხოვნას ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება და პროტესტის პარალელურად რეპრესიების ფარგლებში დაკავებული ადამიანების გათავისუფლება წარმოადგენს.

აღნიშნულს წინ უძღოდა 2024 წლის 26 ოქტომბრის უაღრესად პრობლემური საპარლამენტო არჩევნები, რომლის შედეგებიც არ აღიარა საქართველოს პრეზიდენტმა, ბარიერგადალახულმა ოპოზიციურმა პარტიებმა და მოსახლეობის დიდმა ნაწილმა. 26 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნები შეაფასა OSCE/ODIHR-მაც, რომლის უპრეცედენტოდ კრიტიკულ დასკვნაში<sup>2</sup> საუბარია მთელ რიგ პრობლემებზე, მათ შორის არჩევნების ფუნდამენტური პრინციპის, ფარულობის, მასშტაბურ დარღვევაზე. ყველაფერ ამას არჩევნებთან დაკავშირებით საერთაშორისო ლეგიტიმაციის არ არსებობაც ემატება.

გარდა ამისა, 2024 წლის 25 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუციისა და პარლამენტის რეგლამენტის დარღვევით სცნო 150 დეპუტატის უფლებამოსილება, რითაც გაწყვიტა ხელისუფლების ლეგიტიმაციის დემოკრატიული ჯაჭვი და გავიდა კონსტიტუციური წესრიგიდან. საქართველოს პარლამენტის მიერ, 25 ნოემბერს, პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობა, ეწინააღმდეგებოდა პარლამენტის რეგლამენტს, რადგან პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის არჩევის კანონიერება საკონსტიტუციო სასამართლოში იყო გასაჩივრებული. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე პარლამენტს არ ჰქონდა უფლებამოსილება შეკრებილიყო და ეცნო პარლამენტის წევრთა უფლებამოსილება.

ქართულმა ოცნებამ ხალხის ლეგიტიმურ პროტესტს მასშტაბური, ბრუტალური საპოლიციო ძალა და რეპრესიები დაუპირისპირა. პარლამენტის წინ გამართულ მშვიდობიან აქციებზე ხელისუფლებამ ამ დრომდე პროტესტის 500-მდე მონაწილე დააკავა. მათი უმრავლესობა დაკავების დროს ან/და დაკავების შემდეგ დაექვემდებარა წამებასა და ღირსების შემლახავ ან არაადამიანურ მოპყრობას.

პროტესტის დაწყებიდან მალევე, ქართული ოცნების ერთპარტიულმა პარლამენტმა მიიღო რეპრესიული კანონების პაკეტი<sup>3</sup>. მთელი რიგი ავტორიტარული შემლუღები დააწესა

<sup>1</sup> რადიო თავისუფლება, წყარო: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33219304.html>

<sup>2</sup> OSCE/ODIHR, Parliamentary Elections 26 October 2024 Final Report, available: <https://www.osce.org/files/f/documents/1/6/584029.pdf>

<sup>3</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6330635?publication=0#DOCUMENT:1>

გამოსაგვისა და შეკრების თავისუფლებაზე, შემოიღო პრევენციული დაკავების მექანიზმი და კატასტროფულად გაზარდა ჯარიმები მათ დარღვევაზე. დღემდე გრძელდება ასობით ადამიანის დევნა აქციაზე ყოფნის პოსტ-ფაქტუმ ილენგიფიცირებისა და დასჯის გზით. აქციაზე დგომას შსს გზის უკანონო გადაკეცვად აფასებს და რიგით ადამიანებს მინიმუმ 5000 ლარით აჯარიმებს. 2025 წლის 02 თებერვალს, თბილისში მიმდინარე აქციის მონაწილეები, საპოლიციო ძალებმა კვლავ ბრუტალური ძალის გამოყენებით დააკავეს. დაკავებულთაგან 8 პირს გზის/მაგისტრალის ჯგუფურად ბლოკირების არგუმენტით სისხლის სამართლებრივი ბრალდება წარედგინათ. რვავე დაკავებულს პროკურატურის მოთხოვნით აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეეფარდა.

საპროტესტო აქციებზე ხელისუფლებამ პროტესტის 50-ზე მეტი მონაწილე სისხლის სამართლის წესით დააკავა. დაკავებულებს პროკურატურა ედავება ისეთი დანაშაულების ჩადენას, როგორცაა ჯგუფური ძალადობის ორგანიზება/მასში მონაწილეობა<sup>4</sup>, ნივთის დაზიანება<sup>5</sup>, პოლიციელზე თავდასხმა<sup>6</sup>, ნარკოტიკული საშუალების შექმნა/შენახვა<sup>7</sup>, ძალადობა<sup>8</sup> და დევნა<sup>9</sup>.

საქართველოს პროკურატურამ მემოთ ხსენებული ყველა ბრალდებულის მიმართ, გარდა 02 თებერვალს დაკავებულებისა, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება მოითხოვა. სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობები და ყველა ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა პატიმრობა. პატიმრობაში რჩებიან 2024 წლის აპრილ-მაისში გამართულ საპროტესტო აქციებზე სისხლის სამართლის წესით დაკავებული აქტივისტები<sup>10</sup>. წინასწარ პატიმრობაში რჩება მედიების, “ბათუმელებისა” და “ნეგგამეთის” დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, ჟურნალისტი, მზია ამალღობელიც. მზია არსებულ უსამართლობას აპროტესტებს და შიმშილობს.

მნიშვნელოვანია, რომ ამ დრომდე ქართული ოცნებისთვის დასავლური ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობას არ მიულოცავს არჩევნებში გამარჯვება. რიგი ქვეყნების ხელისუფლებები ქართულ ოცნებას თვითალიარებულ ხელისუფლებას უწოდებენ, რაც როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე ხელისუფლების ლეგიტიმაციას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. უფრო მეტიც, დიდმა ბრიგანეთმა, ბალტიის ქვეყნებმა, გერმანიამ, ჩეხეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, სხვადასხვა საფუძვლით, მათ შორის, დემოკრატიისთვის ძირის გამოთხრისთვის, ადამიანის უფლებების ფუნდამენტური დარღვევებისა და საქართველოში რუსული ინტერესების გაგარებისთვის როგორც ქართული ოცნების დამფუძნებელ ბიძინა ივანიშვილს, ასევე ძალოვანი სტრუქტურების მაღალი თანამდებობის პირებს, მოსამართლეებსა და პარლამენტის წევრებს სანქციები დაუწესეს.

<sup>4</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.  
<sup>5</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.  
<sup>6</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.  
<sup>7</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.  
<sup>8</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.  
<sup>9</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.  
<sup>10</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, აქციების კონგექსტში სისხლის სამართლის წესით დაკავებული პირების საქმეები, წყარო: <https://gyla.ge/post/aqciebis-konteqtshi-siskhlis-samartlis-wesit-dakavebulebi>

რეჟიმის მიერ დაკავებულთა გათავისუფლებას ითხოვს ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოება.

ფაქტია, ქართული ოცნება, საქართველოში ამყარებს რა ავტორიტარულ, საპოლიციო რეჟიმს, რეპრესიებს, მართლმსაჯულებას და დაკავებებს, პოლიტიკური მოცივითა და ნიშნით, პროტესტის მონაწილეთა დასჯისთვის იყენებს. ის ცდილობს რეპრესიებით მოგულოს საპროტესტო გალლა ქვეყანაში.

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა აქტიურად სწავლობს აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებს, პოლიტიკურად მოცივირებული მართლმსაჯულების ჭრილში.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული 1900(2012) რეზოლუცია<sup>11</sup> განსაზღვრავს პოლიტიკური პატიმრის დეფინიციას და შესაბამის სამართლებრივ კრიტერიუმებს. –

„საპარლამენტო ასამბლეა აცხადებს, რომ პირი, რომელსაც აღკვეთილი აქვს თავისუფლება, მიიჩნევა „პოლიტიკურ პატიმრად“:

a. თუ პატიმრობა შეეფარდა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და მის ოქმებში მითითებული ერთ-ერთი ფუნდამენტური გარანტიის, კერძოდ, რწმენის, აღმსარებლობისა და რელიგიის თავისუფლების, ინფორმაციისა და გამოხატვის თავისუფლების, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების დარღვევით;

b. თუ პატიმრობა შეეფარდა წმინდა პოლიტიკური მიზნების გამო, რომელსაც არ აქვს კავშირი რაიმე სამართალდარღვევასთან;

c. თუ, პოლიტიკური მოცივების გამო, პატიმრობის ხანგრძლივობა ან პირობები აშკარად არაპროპორციულია იმ სამართალდარღვევასთან, რომლის ჩადენაშიც იგი დაშინაშევედ იქნა ცნობილი ან ეჭვმიტანილია;

d. თუ, პოლიტიკური მოცივების გამო, იგი დაპატიმრებულია დისკრიმინაციულად სხვა პირებთან შედარებით; ან

e. თუ პატიმრობა არის იმ სამართალწარმოების შედეგი, რომელიც აშკარად უსამართლო იყო და ჩანს, რომ უკავშირდება სახელისუფლებო ორგანოების პოლიტიკურ მოცივებს.“

რეზოლუციის თანახმად პირი, რომელსაც აღკვეთეს პირადი თავისუფლება, უნდა ჩაითვალოს პოლიტიკურ პატიმრად თუ მის საქმეში კმაყოფილდება ზემოთ აღნიშნული ერთ-ერთი წინაპირობა მაინც.

<sup>11</sup> PACE, Resolution 1900(2012), available: <https://pace.coe.int/en/files/19150>

## ვალერი თეთრაშვილის საქმე

GDI-მ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, 2012 წლის N1900 რეზოლუციის კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეისწავლა ვალერი თეთრაშვილის საქმე და მიაჩნია, რომ მისი პატიმრობა რეზოლუციის მინიმუმ “ხ” და “ე” კრიტერიუმს აკმაყოფილებს, შესაბამისად, ვალერი თეთრაშვილი არის პოლიტიკური პატიმარი და ის დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

27 წლის ვალერი თეთრაშვილი დააკავეს 2024 წლის 7 დეკემბერს.

ვალერი თეთრაშვილს პროკურატურა ორგანიზებული ძალადობრივი ჯგუფის ქმედებებში მონაწილეობას ედავება. დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

პროკურატურა აცხადებს რომ ვალერი თეთრაშვილი 2024 წლის 01 და 02 დეკემბერს იმყოფებოდა პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართულ საპროტესტო აქციაზე. იგი აქტიურად მონაწილეობდა ძალადობრივი ჯგუფის მოქმედებებში, ისროდა შუშის ბოთლს და მოგრძო ნივთებს სამართალდამცველთა მიმართულებით, რითაც საფრთხეს უქმნიდა სამართალდამცველებისა და მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფ სხვა პირთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას

პროკურატურას საქმეში წარმოდგენილი აქვს შემდეგი მტკიცებულებები:

- o საქმეში წარმოდგენილია 2 ვიდეო მტკიცებულება. პირველ ვიდეოში ჩანს, რომ ბრალდებული ხელის მოქნევით ისვრის ბოთლს სამართალდამცველების მიმართულებით, თუმცა არ ჩანს სად ეცემა ნასროლი ნივთი. მეორე ვიდეოში კი ჩანს, რომ ბრალდებული სამართალდამცველების მიმართულებით ხელის მოქნევით ისვრის მოგრძო

ფორმის საგანს, თუმცა არც მოცემულ ვიდეოზე ჩანს სად ეცემა ნასროლი საგანი.

- 0 საქმეში ასევე წარმოდგენილია ჰაბიგოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც უთითებს, რომ ზემოთ მითითებულ ვიდეოებში ასახული პიროვნება არის ვალერი თეთრაშვილი.

## ვალერი თეთრაშვილს პატიმრობა შეეფარდა წმინდა პოლიტიკური მიზნების გამო, რომელსაც არ აქვს კავშირი რაიმე სამართალდარღვევასთან

საქართველოს პროკურატურა აქციებზე დაკავებულ 19 პირს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავება. აქედან 3 პირს ბრალად ედება ძალადობრივი ჯგუფის ორგანიზება (225-ე მუხლის პირველი ნაწილი), ხოლო 16 პირს, მათ შორის ვალერი თეთრაშვილს, ამ ორგანიზებულ ძალადობრივ ჯგუფის მოქმედებებში მონაწილეობა (225-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი ნაწილით დასჯადია ჯგუფური მოქმედების ორგანიზება ან ხელმძღვანელობა, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა ანდა მათზე თავდასხმა, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე. ხოლო 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით ისჯება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში მონაწილეობა, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე.

225-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარეა ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, რაც გამოიხატება არეულობის აღგების შერჩევადში, მასობრივი არეულობის დროისა და მისი ჩადენის ხერხის განსაზღვრაში, პირთა ჯგუფის თავმოყრაში და სხვა<sup>12</sup> ხოლო, იმავე მუხლის მე-2 ნაწილი გულისხმობს ორგანიზებული ძალადობრივი ჯგუფის საქმიანობაში ჩაბმას, მასში მონაწილეობას. ამდენად, დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისთვის, ჯერ უნდა არსებობდეს ორგანიზატორი, მის მიერ ორგანიზებული ძალადობრივი ჯგუფი, ხოლო შემდგომში კონკრეტული პირი წინასწარი განზრახვით უნდა ჩაებას და მონაწილეობდეს ორგანიზებული ძალადობრივი ჯგუფის ქმედებებში.

<sup>12</sup> მ. ლეკვეიშვილი, ნონა თოლუა, გოჩა მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გვ. 600.



პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის საფუძველზე დაკავებული პირების საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი არც ერთი მგკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ბრალდებულთა მიერ ძალადობრივი ჯგუფის ორგანიზებას, ბრალდებულთა ნაცნობობას, ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებას ან რაიმე სხვა ფორმით ორგანიზებული სტრუქტურის ჩამოყალიბებას და მასში მონაწილეობას. პატიმრობაში მყოფ პირებს პროკურატურა ედავება 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში სხვადასხვა დღეს, სხვადასხვა ადგილას იმოღივებული ქმედებების ჩადენას, რაც პროკურატურის პოზიციით 225-ე მუხლის შემადგენლობას ქმნის. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობაში აუცილებელია სახეზე იყოს ძალადობრივი ჯგუფის შექმნა/ორგანიზება. ამდენად, წინამდებარე საქმეზე არ არსებობს 225-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის დამადასტურებელი არათუ მგკიცებულებების ერთობლიობა, არამედ, რაიმე სახის მგკიცებულებაც კი, შესაბამისად, სახეზე ვერ იქნება ვერც 225-ე მუხლის მე-2 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

სრული სამართლებრივი სურათისთვის მნიშვნელოვანია გაანალიზდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებიც, რათა არ დარჩეს კითხვა, ვალერი თეთრაშვილის ქმედებაში ხომ არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლი, ხულიგნობა. რაც გულისხმობს ქმედებას, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით.

შესაძლოა გაჩნდეს, კითხვა, სპეცრაზმის მიმართულებით დაუდგენელი საგნის სროლა რაგომ არ არის თუნდაც ბემოთ აღნიშნული ხულიგნობა. პასუხი მარგია. სისხლის სამართლის კოდექსში არსებულ გერმინებს არ აქვთ ავტონომიური მნიშვნელობა, ისინი ამავე კოდექსში არსებული გერმინებითა და დეფინიციებით უნდა განიმარტოს. ამ შემთხვევაში, როგორც 239-ე ასევე 225-ე მუხლისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს გერმინს “ძალადობა”.

“ძალადობა” სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულია და გულისხმობს ცემას, ან სხვაგვარ ძალადობას, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამავე კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ანუ “ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა ან საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა გამოიწვია.”

ვალერი თეთრაშვილის ბრალდების საქმეში კი არათუ მგკიცებულება არ არსებობს, რომ მისმა ქმედებამ ვინმეს ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება გამოიწვია, არამედ, საქმეში საერთოდ არ არის დაზარალებული პირი - საქმეში პროკურატურას ვალერი თეთრაშვილის ქმედების გამო დაზარალებული არ ჰყავს, რადგან ასეთი ბუნებაში არ არსებობს.

შესაბამისად, აშკარაა, რომ საქართველოს პროკურატურა მოცემულ საქმეში სისხლის სამართლებრივი დევნას ერთი მხრივ, საპროცესო აქციების იმიჯის დასაზიანებლად იყენებს, ვინაიდან მას წარმოაჩენს, როგორც ძალადობრივს, ხოლო მეორე მხრივ, ვალერი თეთრაშვილსა და სხვა პირების რეპრესიებითა და დაპატიმრებით, მათ საპროცესო გალღის გერორისა და საზოგადოების დაშინების ინსტრუმენტად იყენებს. .

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ საქმეზე ვალერი თეთრაშვილის სისხლისსამართლებრივი წინასწარი პატიმრობა შეფარდებული აქვს წმინდად პოლიტიკური მიზნითა და მოტივით, ისე, რომ მის ქმედებას არ აქვს კავშირი რაიმე სახის დანაშაულთან.

**ვალერი თეთრაშვილის პატიმრობა არის იმ სამართალწარმოების შედეგი, რომელიც აშკარად უსამართლო იყო და ჩანს, რომ უკავშირდება სახელისუფლებო ორგანოების პოლიტიკურ მოტივებს**

სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე პროკურატურამ ვალერი თეთრაშვილის წინააღმდეგ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება მოითხოვა.

### **პროკურატურის შუამდგომლობის დასაბუთებულობა**

პროკურატურამ შუამდგომლობაში მიუთითა, რომ არსებობდა ვალერი თეთრაშვილის მიერ მიმალვის, მგკიცებულებების განადგურებისა და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე.

აღნიშნული საფრთხეების დასაბუთებისას პროკურატურა მიუთითებს მხოლოდ დანაშაულის სიმძიმესა და სასჯელის სახით პატიმრობის არსებობის შესაძლებლობაზე, რის გამოც შესაძლოა ვალერი თეთრაშვილი მიიმალოს, გაანადგუროს მგკიცებულებები ან ჩაიღიწოს ახალი დანაშაული.

სხვა მხრივ, პროკურატურის შუამდგომლობაში არ არის წარმოდგენილი არც ერთი მგკიცებულება ან ინფორმაცია, რომელიც ზემოთ მითითებული საფრთხეების საფუძვლიანობას დაასაბუთებდა.

### **აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტი**

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარილოს სასამართლოში გამოცხადებას, აღკვეთის მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. ბრალდებულს პატიმრობა ან სხვა აღკვეთის ღონისძიება არ შეიძლება შეეფარდოს, თუ ამ ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით<sup>13</sup>. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს<sup>14</sup>. ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შეუძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით<sup>15</sup>.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში “დასაბუთებული ვარაუდი”-ს სტანდარტი პირდაპირ არის განმარტებული. კერძოდ, საპროცესო კანონდებლობის მიზნებისთვის “დასაბუთებული ვარაუდი არის ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესვენა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩაგარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი<sup>16</sup>.”

აღკვეთის ღონისძიებით თავიდან ასაცილებელი საფრთხეების შესახებ უნდა არსებობდეს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა. ვალერი თეთრაშვილის საქმეში ასეთი ფაქტები ან ინფორმაცია არ მოიძებნება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისას აღნიშნული რისკები სათანადოდ დასაბუთებული უნდა იყოს, ხოლო პროკურატურის არგუმენტაცია მოცემულ საფრთხეებზე არ უნდა იყოს აბსტრაქტული, ზოგადი ან სტერეოტიპული<sup>17</sup>.

### **სასამართლოში გამოცხადებისგან თავის არიდების საფრთხე**

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, სასამართლოში გამოცხადებისგან თავის არიდების საფრთხე ვერ შეფასდება მხოლოდ სასჯელის სიმკაცრის საფუძველზე. მისი შეფასება უნდა განხორციელდეს სხვა შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით<sup>18</sup>. სასამართლოში გამოცხადებისგან თავის არიდების საფრთხე უნდა შეფასდეს იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია ბრალდებულის პიროვნებასთან, საცხოვრებელთან, საქმიანობასთან, ქონებასთან, ოჯახურ კავშირებთან

<sup>13</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 198.1.

<sup>14</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 198.2.

<sup>15</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 198.4.

<sup>16</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 3.11.

<sup>17</sup> Merabishvili v. Georgia [GC], 2017, § 222.

<sup>18</sup> Panchenko v. Russia, 2005, § 106

და მის ქვეყანასთან კავშირების ყველა სახეობასთან, სადაც ის პასუხისმგებია მიცემული<sup>19</sup>.

ვალერი თეთრაშვილის შემთხვევაში ასეთი დასაბუთება არც პროკურატურას და არც სასამართლოს არ წარმოუდგენია.

### **ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე**

ევროპული სასამართლოს სტანდარტით, ბრალდების სიმძიმემ შეიძლება სასამართლო ხელისუფლებას უბიძგოს, რომ ეჭვიგანილი წინასწარ პატიმრობაში დაგოვოს, რათა თავიდან აიცილოს სხვა დანაშაულის ჩადენის მცდელობა. თუმცა, აუცილებელია, რომ ეს საფრთხე იყოს რეალისტური და აღკვეთის ღონისძიების ზომა იყოს შესაბამისი საქმის გარემოებების, განსაკუთრებით კი პირის წარსულისა და პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით<sup>20</sup>.

პროკურატურას ან/და სასამართლოს ასეთი დასაბუთება არ ჰქონია.

### **მართლმსაჯულებისთვის/გამოძიებისთვის ხელის შეშლის საფრთხე**

სტრასბურგის სასამართლოს თანახმად, ბრალდებულის მიერ სასამართლო პროცესის სათანადო წარმართვაზე ხელის შეშლის საფრთხე არ შეიძლება დაფუძნდეს აბსტრაქტულ მოსაზრებებზე, იგი უნდა იყოს გამყარებული ფაქტობრივი მტკიცებულებებით<sup>21</sup>. მოწმეებზე გეწოლისა და მტკიცებულებების განადგურების რისკი არ შეიძლება დაეფუძნოს მხოლოდ სასჯელის სიმკაცრეს, არამედ ის უნდა იყოს დაკავშირებული კონკრეტულ ფაქტებთან<sup>22</sup>.

დამატებით, აღსანიშნავია, რომ ევროსასამართლოს პრაქტიკით, თითოეული შემთხვევაში მითითებული საფრთხე მცირდება ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის პერიოდის გასვლასთან ერთად. შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების განხორციელებისას სასამართლოს მოეთხოვება უფრო კრიტიკულად შეაფასოს ბრალდების მხარის შუამდგომლობა და გამოიკვლიოს რელევანტური მტკიცებულებები, რომელიც შემთხვევაში მითითებული საფრთხეების რეალიზებას დაადასტურებს.

ვალერი თეთრაშვილთან მიმართებით ასეთი საფრთხეები არც პროკურატურას და არც სასამართლოს დაუსაბუთებია.

### **აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთება სასამართლოს მიერ**

ვალერი თეთრაშვილის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა 2024 წლის 8 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, თამარ მჭედლიშვილის, განჩინების საფუძველზე.

<sup>19</sup> Becciev v. Moldova, 2005, § 58.

<sup>20</sup> Clooth v. Belgium, 1991, § 40.

<sup>21</sup> Becciev v. Moldova, 2005, § 59.

<sup>22</sup> Merabishvili v. Georgia [GC], 2017, § 224.

მოსამართლემ არ გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია ვალერი თეთრაშვილის მიმალვის საფრთხესთან დაკავშირებით. თუმცა, მოსამართლემ მიიჩნია, რომ ვალერი თეთრაშვილთან მიმართებით არსებობდა დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების, ახალი დანაშაულის ჩადენისა და მტკიცებულებების განადგურების საფრთხეები. სასამართლომ აღნიშნული დასკვნა მხოლოდ დანაშაულის სიმძიმისა და მოსალოდნელი სანქციის სახით პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობის საფუძველზე გამოიგანა ისე, რომ საქმეში არ არსებობდა არც ერთი მტკიცებულება ან ინფორმაცია, რომელიც მითითებული საფრთხეების არსებობას დაასაბუთებდა.

მოსამართლე თამარ მჭედლიშვილის განჩინება ძალაში დაგოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე სპარტაკ პავლიაშვილმა 2024 წლის 13 დეკემბრის განჩინებით, რომელშიც სააპელაციო სასამართლო მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მართებულობას.

### **აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გახანგრძლივება**

2025 წლის 10 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, ქეთევან ჯაჭვავაძემ, ძალაში დაგოვა ვალერი თეთრაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობა.

მოსამართლემ სამართლებრივი დასაბუთების გარეშე მიუთითა, რომ დასაბუთებულად მიაჩნია ყველა იმ საფრთხის კვლავ არსებობა, რომელიც საფუძველად დაედო ვალერი თეთრაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას.

მოსამართლე ქეთევან ჯაჭვავაძის განჩინება ძალაში დაგოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე გიორგი მიროგაძემ 2025 წლის 16 იანვრის განჩინებით, რომელშიც კვლავ არ არის მითითება არც ერთ მტკიცებულებაზე, რომელიც ვალერი თეთრაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას გაამართლებდა.

## **დასკვნა**

ვალერი თეთრაშვილის პატიმრობა შეფარდებული აქვს წმინდა პოლიტიკური მიზნების გამო, ქმედებისთვის რომელსაც არ აქვს კავშირი რაიმე დანაშაულთან. ამასთან, ვალერი თეთრაშვილის პატიმრობა არის იმ სამართალწარმოების შედეგი, რომელიც აშკარად უსამართლო იყო და ჩანს, რომ უკავშირდება სახელისუფლებო ორგანოების პოლიტიკურ მოტივებს.

ამასთან, ვალერი თეთრაშვილის მიმართ გამოყენებული პატიმრობა წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გემოთ მითითებულ სტანდარტებთან – პატიმრობის გამოყენებას საფუძველად დაედო აბსტრაქტული, ზოგადი

და სტერეოტიპული არგუმენტაცია, რა დროსაც პროკურატურას არც ერთი მტკიცებულება არ წარმოუდგენია, რომელიც დაასაბუთებდა, რომ არსებობდა არა მხოლოდ პატიმრობის გამოყენების, არამედ ზოგადად აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვალერი თეთრაშვილი არის პოლიტიკური პატიმარი. მისი საქმე წარმოადგენს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის N1900 რეზოლუციის „b“ და „e“ კრიტერიუმებით გათვალისწინებულ შემთხვევას.

პოლიტიკური პატიმარი, ვალერი თეთრაშვილი პატიმრობიდან დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს!